სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 6 21 0001043442

06/10/2021

რომის საპიენცას უნივერსიტეტში (იტალია) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის (ერასმუს+) ფარგლებში მონაწილეობის მიღების მიზნით აპლიკანტთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტის მიერ გაცვლითი საერთაშორისო პროგრამის ფარგლებში, საერთაშორისო მობილობაში მონაწილეობის მიღების მიზნით, კონკურსის ჩატარების წესის შესახებ“ სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 დადგენილების საფუძველზე,

ვბრძანებ :

1. 2021/2022 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრში რომის საპიენცას უნივერსიტეტში (იტალია) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტთა ერასმუს+ გაცვლით საერთაშორისო პროგრამაში მონაწილეობის მიღების მიზნით, აპლიკანტების შესარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- **ლევან კლიმიაშვილი** – ვიცე-რექტორი, კომისიის თავმჯდომარე;
- **დავით მახვილაძე** - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი;
- **დევი ხვედელიანი** - საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
- **დავით თავხელიძე** - მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უფროსი;
- **თამარ წერეთელი** - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსი;

- **გიორგი აბრამიშვილი** - სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
- **ბექა მაისურაძე** - სამართლებრივი უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
- **გიორგი ნანიტაშვილი** - სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი;
- შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი/წარმომადგენელი/.

2. დაევალოს კომისიას:

ა) სააპლიკაციო განაცხადების განხილვა და გასაუბრება ჩაატაროს 2021 წლის 08 ოტომბრამდე.

ბ) კონკურსანტების შეფასება განახორციელოს სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2020 წლის 3 ნოემბრის №01-05-04/198 დადგენილებით დამტკიცებული წესით განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით.

გ) კონკურსის შედეგები კონკურსანტებს ინდივიდუალურად აცნობოს საკონკურსო განაცხადში მითითებული ელ. ფოსტით.

3. კონკურსის შედეგები გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს ლევან კლიმიაშვილს.

5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).



რექტორი
გურგენიძე დავით